



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №2

2017 წლის 12 იანვარი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“  
მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 18 ნოემბრის №208 განკარგულებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ე.“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვების (№06/289. 10.01.2017წ) საფუძველზე,

1. შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 18 ნოემბრის №208 განკარგულებაში. კერძოდ, განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„1. მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესხო ხელშეკრულებების შესაბამისად, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ნაგავზიდი მანქანებისა და ნარჩენების კონტეინერების შექმნისათვის აიღოს სესხი 617.928 (ექვსასჩვიდმეტიათას ცხრაასოცდარვა) ათასი ლარი“.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი